ცნობა

ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე“ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის მისაღებად. აღნიშნული აქტის პროექტი განთავსდა საკრებულოს ვებგვერდზე (https://tsalenjikha.gov.ge/) და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე, ამასთან განსახილველად გადაეცა საკრებულოს წევრებს, კომისიებსა და ფრაქციებს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომები გაიმართება შემდეგი გრაფიკით:

1. საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების ერთობლივი სხდომა- 2024 წლის 12 აპრილი 12:00 საათი.
2. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის სხდომა-2024 წლის 8 აპრილი 11 საათი;
3. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“-2024 წლის 8 აპრილი 12 საათი;
4. საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“--2024 წლის 8 აპრილი 14 საათი;

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე“, როგორც საკრებულოს, ასევე საკრებულოს კომისიების, ფრაქციების სხდომები გაიმართება საკრებულოს სხდომათა დარბაზში(მის.ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. N5. III სართული).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნის, საკრებულოს სხვა კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების, მოქალაქეების მოსაზრებების წარმოდგენა საკრებულოს აპარატში უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მ/წლის 25 აპრილისა. (მის.ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. N5 აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშხია. **ტ. 599 85 71 02**).

საკრებულოს სხდომა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე“ გაიმართება 2024 წლის 26 აპრილს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი